

სუბტროპიკული ეწერ-ლებიანი - Subtropische Gley-Podsole

ყვითელმიწა ეწერ-ლებიანი ნიადაგები ხასიათდება მკვეთრად დიფერენცირებული პროფილით შემდეგი აგებულებით: $A_g-A_{1g}A_{2g}-B_{1g}-B_{2g}-BC_g-CD_g-G_g$ ან $A_{1g}A_{2g}-A_{2g}-A_{2g}-BC_g$. განვითარების პირობებით ყვითელმიწა-ეწერლებიანი ნიადაგები მეტად ახლოსაა ყვითელმიწა-ეწერ ნიადაგებთან, მაგრამ განსხვავდებიან გრუნტის და ზედაპირული ჩამონადენი წყლებით, მეტი დატენიანებით. ამ ნიადაგების საერთო ფართობი ქვეყნის მთელი ტერიტორიის 1,8 % (119.040 კა) შეადგენს. ყვითელმიწა ეწერ-ლებიანი ნიადაგები ხასიათდება მჟავა, ნეიტრალური ან სუსტად ტუტე რეაქციით, ჰუმუსის ზომიერი შემცველობით და დრმა ჰუმუსირებით, თიხნარი და თიხა მექანიკური შედგენილობით, ჰიგროსკოპული წყლის საშუალო შემცველობით, მოცულობითი წონით 1,24-1,41 ფარგლებში, მაძრობით ან არამაძრობით. ნიადაგები საშუალოდ (0-10) უზრუნველყოფილია ან ღარიბია (10-20) ჰიდროლიზებადი აზოტით, მდიდარია შთანქმული ფოსფორით, ღარიბია გაცვლითი კალიუმით. ჩვეულებრივ გაბინძურებულია რადიონუკლიდებით.

Subtropische Gley-Podsole sind charakterisiert durch ein klar differenziertes Profil mit folgendem Aufbau: Einen $A(g)-A_1A_2(g)-B_1(g)-B_2(g)-BC(g) CD_g-G$ oder $A_1A_2(g)-A_2(g)-A_2B(g)-BC_g$. Subtropische Gley-Podsole sind bezüglich der Entwicklung den subtropischen Podsolen vergleichbar, der Unterschied zwischen ihnen ist der Grund- und Oberflächenwasserhaushalt, das heißt, die grössere Feuchte. Die Gesamtfläche macht 1.8% (1190,4 qkm) des georgischen Territoriums aus. Subtropische Gley-Podsole sind charakterisiert durch saure, neutrale oder schwach alkalische Reaktion, durch einen mäßigen Gehalt an Humus, eine lehmig bis tonige Textur, einen durchschnittlichen Gehalt an hygroskopischem Wasser, eine Lagerungsdichte zwischen 1,24-1,41g/ccm, gesättigt oder ungesättigt. Die Böden sind mittel versorgt (0-10cm) oder arm (10-20cm) mit hydrolysierbarem Stickstoff, sind reich im Gehalt an mobilem Phosphor und wenig versorgt mit austauschbarem Kalium. Die Böden sind oft mit radioaktiven Nukleiden kontaminiert.

